ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13243272**

თარიღი:**22/11/2024**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე'' ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ამავე კანონის 108-ე მუხლის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, შემდგომში მოქალაქე თამაზი მარტინენკოსთვის (პ/ნ 47001009784), სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის მიზნით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

ა) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელი აწყური, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა, ობიექტი N1, საკადასტრო კოდით N62.04.51.662;

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი